სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზია და რადიოს

დირექტორის საქმიანობის

ყოველკვარტალური ანგარიში

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ყოველკვარტალურ ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი:

2021 წლის

მესამე კვარტალი

01/07/2021-01/10/2021

ბათუმი

სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს"-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;
   რადიო - შედეგები და საჭიროებები;
   ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები;
   მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის ტენდერები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა;
9. „შემდეგი თაობა"-სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

მაუწყებელი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის შეესაბამის ნორმების საფუძველზე, ისე რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელია.

<u>შესავალი</u>

წარმოგიდგენთ 2021 წლის მესამე კვარტალის (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) შედეგებს.

მაუწყებლის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;

- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების შესაბამისად;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიაზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

**ჩვენი წინასწარი დაგეგმვა**

2021 წლის მეორე კვარტალის მთავარი გამოწვევა იყო ტექნიკური პრობლემების მოგვარება.

ამოცანები:

- აუდიტორიის შენარჩუნება და შემდგომში გაზრდის ღონისძიებების დაგეგმვა, ყოველდღიური რეიტინგების, უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე;
- თანამშრომელთა დისციპლინის ჩამოყალიბება;
- მარკეტინგის ჯგუფის გაძლიერება და ხელშეწყობა;
- საარჩევნოდ ბადის გადაწყობა;
- ფეხბურთის ტრანსალაცია;
- ახალი სეზონის ბადის მომზადება;
- სტაჟირების გამოცხადება (ტელევიზიის, რადიოს და ონლაინ მიმართულებით);
- საავტორო გადაცემა ბიზნეს ეკონომიკა;
- ღონისძიებების განხორციელება;

- ტურისტული პროექტის განხორციელება;
- დოკუმენტურ ფილმებზე კონკურსის გამოცხადება.

<u>კვარტლის მიღწევა</u>

<u>კვარტლის გამოწვევა</u>

<u>საერთო ფონი კვლავ რთულია</u>

კვლავ პრობლემად რჩება სამუშაო დისციპლინის არადამაკმაყოფილებელი დონე, რაც განპიროვნებული იყო სამუშაო სივრცის არქონის გამო და ასევე დასაქმებულების შრომით ხელშეკრულებით გაწერილი ფუნქცია მოვალეობების არაკეთილსინდისიერი და არაჯეროვანი შესრულებით.

**„პროგრამა=პრიორიტეტს" შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებელი ორიენტირებული იყო კანონისა და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების საკითხებზე. ვცდილობდით გაგვეშუქებინა მთავარი გამოწვევები, აღნიშნული პერიოდი მაუწყებლის მიერ გამოყენებული იქნა რამოდინიმე სავარაუდო ახალი პროექტების მომზადების თვალსაზრისით.

**ტელევიზია-შედეგები:**

მესამე კვარტალის პერიოდისათვის ახალი ამბების სამსახურისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის ოპერატიული, მყისიერი გავრცელება. აჭარის მაუწყებელი აშუქებდა თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანიას, პარალელურად ინტენსიურ რეჟიმში შუქდებოდა მიმდინარე პროცესები. 2021 წლის სექტემბრის თვეში ა(ა) იპ „ ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისა" და მაუწყებელს შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მაუწყებელს დაევალა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევენების, ახალი საარჩევნო წესისა და რეგულაციების შესახებ 2(ორი) გადაცემის მომზადება ერთი სატელევიზიო და მეორე რადიოგადაცემა.

**რადიო-შედეგები:**

პერიოდულად მიმდინარეობდა ყოველკვირეული მუსიკალური პლეილისტის გენერაცია. გარეწარმოების წესით მომზადდა ორი გადაცემა - ჩემი ალტერნატივა ( ქართული ალტერნატიული ესტრადის შესახებ ) და ბათუმური ისტორიები ( ბათუმის ურბანული ლეგენდები, ცნობილი პიროვნებების ისტორიები და საარქივო მასალები).

**ინტერნეტი-შედეგები:**

აჭარის მაუწყებლის ონლაინ სამსახური, დებულების თანახმად, პასუხისმგებლობას იღებს და ითვლის მხოლოდ მაუწყებლის შემოქმედებითი გადაცემების სოციალურ მონაცემებს.

ამ კვარტალში რამდენიმე გადაცემა დაემატა, რომელიც თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით გადიოდა. ყოველდღიურ რეჟიმში იტვირთებოდა საარჩევნო თოქ-შოუები. ასევე, ყველა გადაცემა და დოკუმენტური ფილმი, რომელიც გავიდა მაუწყებლის ეთერში, საიტზე განთავსდა რადიოში გასული აუდიო გადაცემები.

• ვიდეო მასალები დახარისხდა და პარალელურად აიტვირთა მაუწყებლის youtube არხზე.

• ფბ გვერდზე გაზიარდა გადაცემების ანონსები;

• დამუშავდა, დახარისხდა და აიტვირთა მაუწყებლის ადმინისტრაციისა და მრჩეველთა საბჭოს დოკუმენტები, გადაწყვეტილებები და სხდომები.

• განახლდა გადაცემების შესახებ ინფორმაცია.

## გადაცემების ფეისბუქ გვერდების მონაცემები

გთავაზობთ მოქალაქეების ინტერაქციის (კომენტარები, ემოციები, გაზიარებები) მიხედვით კვარტლის მონაცემებს:

ამ კვარტალის მონაცემებით, ყველაზე მეტი აუდიტორია - მოწონებელი და მიმდევარი „ჰეშთეგის“ გვერდს აქვს - 65.555.

გვერდს მცირედით, მაგრამ მაინც აქვს მზარდი ინტერაქცია, კვარტლის განმავლობაში გადაცემის ვიდეოების ნახვა 253 ათასზე მეტია.

კარგი პოზიცია აქვს გადაცემა „მე ვარ ფერმერსაც“, 57 ათასიანი აუდიტორიით, თუმცა გვერდზე ვიდეოების ნახვები და კომენტარები ამ კვარტალში ძალიან მაღალი არ არის. ზოგადად, მესამე კვარტალში ონლაინ აუდიტორია (ივლისი, აგვისტო) ნაკლებად აქტიურია სოციალურ ქსლეებში. ამავდროულად, გადაცემები აგვისტოში არ გადიოდა ეთერში.




| | Page Name | Total Interactions | Interaction Rate | Avg. Posts Per Day | Views on Owned Videos | Page Followers | Growth % and # |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Average Total | 1,965.33 | 0.363% | 0.50 | 59,702.73 | 19,067.53 | +5.58% |
| 1 | ჰეშთეგი / Hashtag | 6,766 | 0.139% | 0.78 | 253,067 | 65,555 | +0.71% +461 |
| 2 | მე ვარ ფერმერი / Me Var Fermeri | 2,918 | 0.608% | 0.09 | 87,157 | 57,171 | +15.82% +7,809 |
| 3 | ერთი დღე სოფელში | 3,370 | 0.566% | 0.12 | — | 54,126 | +0.24% +129 |
| 4 | დილის ტალღა / Dilis Talga | 6,877 | 0.247% | 1.2 | 246,826 | 25,605 | +11.02% +2,541 |
| 5 | ვემსახურები საქართველოს | 1,235 | 0.778% | 0.09 | 32,946 | 17,660 | +0.60% +105 |
| 6 | იმპულსი • Impulsi | 43 | 0.056% | 0.07 | 2,085 | 10,687 | +0.23% +24 |
| 7 | ZOOM განათლებაზე | 2,040 | 0.508% | 0.46 | 73,672 | 9,355 | +6.89% +603 |
| 8 | უცხო ხეწელი | 149 | 0.237% | 0.07 | 1,222 | 8,917 | +1.53% +134 |
| 9 | ბუნების კაბინეტი | 217 | 0.367% | 0.07 | 6,406 | 8,578 | +3.30% +274 |
| 0 | სპორტკლუბი / SportClub | 364 | 0.741% | 0.06 | 11,634 | 8,157 | +1.49% +120 |
| 1 | ეს შუადღე . Ajara TV | 2,896 | 0.365% | 1.15 | 113,315 | 7,888 | +23.99% +1,526 |
| 2 | ბიბლიოთეკა | — | — | — | — | 5,162 | +6.94% +335 |
| 3 | დილის რადიო | 2,438 | 0.174% | 3.08 | 63,890 | 4,749 | +6.72% +299 |
| 4 | ART ექსპერტი / ART Expert | 167 | 0.651% | 0.19 | 3,321 | 1,407 | +3.76% +51 |
| 5 | თეთრი კვადრატი / White Quadrat | — | — | 0.01 | — | 996 | +0.40% +4 |

მოცემული მონაცემების ანალიზით ჩანს, რომ მზარდი დინამიკა აქვს გადაცემა“ეს შუადღეს“. მისი აუდიტორია არ არის დიდი, თუმცა მზარდია. ის ცოცხალი და აქტიური გვერდია, როგორც ვიდეოების ნახვების კუთხით, ასევე მოქალაქეების ჩართულობის (კომენტარები, გაზიარებები, ლაიკები). აღსანიშნავია, რომ ნახევარწელზე მეტია მაუწყებლის გვერდზე გადაცემების რეკლამირება არ მომხდარა, მათ შორის არც ერთხელ არ ყოფილა რეკლამა გაშვებული „ეს შუადღის“ ფბ გვერდზე.

ამ კვარტალში მაუწყებლის გადაცემებს შორის, ფბ აუდიტორიის ყველაზე მეტი ჩართულობა - „ეს შუადღეს“ აქვს. მათ მიერ ფბ-ზე დადებულ მასალას ნელი აგირბას შესახებ, 48 ნახვა ჰქონდა. ასევე, ამ კვარტალში აქტიური და ინტერაქციული იყო zoom განათლებისთვის. გადაცემის ერთ-ერთი სიუჟეტს, მაუწყებლის მიერ მომზადებულ ვიდეოებს შორის, ლიდერი პოზიცია უჭირავს (იგულისხმება მიმდინარე კვარტალი).



გადაცემა ჰეშთეგს ქონდა თემატური ვიდეოები და კამპანიური ხასიათის მასალები - #ვაქცინაციის სარგებლობასა და #არჩევნებში მონაწილეობის აუცილებლობაზე.

ასევე, წარმატებულ, საინტერესო და აქტიურ ქალებზე მასალები... ეს ვიდეოები მოხვდა მაუწყებლის ტოპვიდეოებში.



პოპულარულ ვიდეოებში მოხვდა რადიოს დილის გადაცემის რუბრიკა „მოკლე ისტორიები“ ლენა ჭაღალიძისგან. ასევე, „დილის ტალღის“ ორი ვიდეო და „მე ვარ ფერმერის“ გადაცემა, რომელიც მესაქონლეობაში გამოყენებულ ახალ ტექნოლოგიებს ეხებოდა.




აღსანიშნავია, რომ გასულ კვარტალში გაცილებით მაღალი იყო საზოგადოების ჩართულობა და ვიდეოების ნახვის დინამიკა. ასევე, განსხვავდებოდა რეიტინგების შკალაც. თუმცა, კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, ყოველწლიური დაკვირვება ცხადჰყოფს, რომ ზაფხულის სეზონზე სხვა მედიაპროდუქტების რეიტინგებიც იკლებს ბაზარზე.

### პოპულარული ვიდეოები  მაუწყებლის მთავარ გვერდზე

რაც შეეხება აჭარის ტელევიზიის მთავარ გვერდს, მიმდინარე კვარტალში ყველაზე პოპულარული ორი დღის წინ განთავსებული ვიდეო გახდა. საარჩევნო უბანთან ხელის თხოვნის სცენას,  148 ათასი ნახვა და 8 ათასზე მეტი ემოცია აქვს.




ასევე, თურქეთში ხანძარი და დინამო ბათუმის პირდაპირი ტრანსლაციები მოხვდა ყველაზე პოპულარულ ვიდეოებში.







ყურებადი იყო კვლავ „სახალხო კონტროლის“ პირდაპირი ეთერი, მუსიკალური შოუ და საერთაშორისო ორთაბრძოლა - წესების გარეშე.

## აუდიტორიის ჩართულობა

კვარტლის მონაცემებით, აჭარის მაუწყებლის მთავარ გვერდზე თითქმის 300 ათასიანი ინტერაქცია (კომენტარები, ემოციები, გაზიარებები) იყო. ყველაზე აქტიური მომხმარებლები ჩვენს ფბ გვერდზე 1 დან 7 აგვიტოს მონაკვეთსა და 1 ოქტომბერს იყო.




## მაუწყებლის ფბ მთავარი გვერდი და კონკურენტი არხები

თავისთავად 300 ათასზე მეტი კომენტარი და ემოცია კარგი მაჩვენებლია, თუმცა სხვა მედია ორგანიზაციებთან და მაუწყებლებთან შედარებით, პოზიციები შეგვიმცირდა. მოქალაქეების ჩართულობის კუთხით,საქართველოს მასშტაბით, აჭარის მაუწყებელი მე-18 პოზიციაზეა. გასულ კვარტალთან შედარებით პოზიცია 4 პუნქტით გაგვიუმჯობესდა (22 პოზიციაზევიყავით), თუმცა წლის დასაწყისში რეიტინგში მე-16 ადგილს ვიკავებდით.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Average Total | 137,796.65 | 0.116% | 23.52 | 3.14M | 187,294.06 | +0.84% |
| 1 | მთავარი არხი • Mtavari Arkhi | 1.76M | 0.052% | 116.4 | 56.39M | 964,920 | +0.57% +5,509 |
| 2 | TV Pirveli • ტელევიზია პირველი | 1.48M | 0.055% | 111.33 | 52.91M | 807,020 | +0.45% +3,642 |
| 3 | პირველი არხი | 653,002 | 0.071% | 58.87 | 13.72M | 521,990 | +1.57% +8,070 |
| 4 | Kakha Kaladze კახა კალაძე | 542,593 | 1.084% | 3.23 | 7.60M | 520,213 | +1.66% +8,475 |
| 5 | რადიო თავისუფლება | 505,350 | 0.076% | 50.73 | 8.60M | 443,624 | +2.38% +10,310 |
| 6 | Rustavi 2 • რუსთავი 2 | 469,607 | 0.035% | 41.33 | 14.26M | 1,078,304 | +0.07% +806 |
| 7 | ambebi.ge • ამბები.ge | 386,553 | 0.058% | 59.57 | 921,648 | 376,300 | +0.66% +2,475 |
| 8 | Tabula - ტაბულა | 336,280 | 0.083% | 54.33 | 5.54M | 248,535 | +1.33% +3,262 |
| 9 | InterPressNews.ge | 279,847 | 0.13% | 54.27 | 13,651 | 131,543 | +0.61% +798 |
| 10 | palitravideo.ge | 256,429 | 0.08% | 42.5 | 3.22M | 252,114 | +1.40% +3,482 |
| 11 | BMG • ბიემჯი | 239,445 | 0.06% | 75.03 | 1.83M | 181,708 | +4.36% +7,590 |
| 12 | ბათუმელები • Batumelebi.ge | 211,509 | 0.199% | 28.03 | 3.32M | 129,144 | +4.67% +5,763 |
| 13 | Kavkasia TV • ტელევიზია კავკასია | 164,158 | 0.348% | 32.73 | 394,989 | 48,592 | +2.25% +1,070 |
| 14 | NEWS.On.ge | 143,228 | 0.05% | 61.53 | 2.90M | 155,782 | +1.36% +2,096 |
| 15 | ალია | 107,534 | 0.091% | 101.8 | 21,362 | 38,926 | +2.06% +785 |
| 16 | Netgazeti | 96,606 | 0.064% | 37.3 | 1.62M | 134,610 | +1.02% +1,363 |
| 17 | POSTV - ახალი ამბები | 88,789 | 0.09% | 25.07 | 1.91M | 132,269 | +1.46% +1,906 |
| 18 | აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი | 86,358 | 0.036% | 53 | 498,503 | 149,716 | +0.90% +1,329 |
| 19 | პრაიმშოუ • PrimeShow | 85,532 | 0.361% | 1.97 | 2.89M | 403,857 | +1.25% +4,996 |
| 20 | ამერიკის ხმა | 84,319 | 0.058% | 17.63 | 2.53M | 275,409 | +0.91% +2,478 |
| 21 | ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ / Nanuka Zhorzholiani's Show | 79,312 | 0.37% | 1.3 | 1.95M | 549,565 | -0.05% -282 |
| 22 | სხვა შუადღე / Skhva Shuadge | 72,152 | 0.177% | 5.53 | 3.20M | 246,901 | +1.38% +3,360 |
| 23 | TV პალიტრანიუსი - TV PalitraNews | 71,273 | 0.012% | 87.9 | 2.85M | 219,241 | +0.74% +1,615 |
| 24 | Euronews Georgia | 58,026 | 0.342% | 11.77 | 1.01M | 49,036 | +4.65% +2,178 |
| 25 | Georgia Today | 51,645 | 0.558% | 18.73 | 627,900 | 16,570 | +3.43% +549 |

მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის გვერდი, ისევე როგორც სხვა მაუწყებლების ფბ გვერდები, წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგშიც მოხვდა. კვლევა ევროკავშირის დაფინანსებით, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ ჩაატარა.

## მაუწყებლის Youtube არხი

სისტემატური მაყურებელი 27 ათასია, უნიკალური 90 ათასი.




არხზე ვიდეოების ნახვები სტაბილურია და გასული კვატლის მონაცემებს იმეორებს. გამომწერთა რაოდენობა კი 14 759 მდე გაიზარდა.

**ყველაზე ნახვადი ვიდეოები სახალხო კონტროლის ვიდეოებია.**



Обзор Просмотры Взаимодействие Аудитория Доход

| | Видео | продолжительность просмотра | Просмотры |
|---|---|---|---|
| 1 | აჭარული - ერთი დღე სოფელში<br>15 апр. 2017 г. | 2:16 (31,4 %) | 55 767 |
| 2 | სახალხო კონტროლი - ქ. ქუთაისი: რესტორანი „როიალ პალასი", შპს „ბაგრატი...<br>7 сент. 2021 г. | 13:15 (35,8 %) | 13 377 |
| 3 | "იმერული ეზო"; რესტორანი "რომი"; თურქული ტკბილეულის დახლი ისთ-ფ...<br>21 сент. 2021 г. | 7:53 (25,1 %) | 8 308 |
| 4 | სახალხო კონტროლი-ქ.ხონი:პურის საცხობი -ბაგრატიონის ქ.3, ბერძნული პუ...<br>14 сент. 2021 г. | 9:02 (33,7 %) | 7 525 |
| 5 | სახალხო კონტროლი -ბათუმი-თევზის რესტორნები „ზღვის ვარსკვლავი", „პო...<br>10 авг. 2021 г. | 11:22 (34,5 %) | 4 127 |
| 6 | თბილისი: "დოლჩე ვიტა" ხომლელის ქუჩაზე; ბურბუშელა "ცეროდენა"; "ტკბი...<br>5 мая 2021 г. | 9:46 (30,4 %) | 3 546 |
| 7 | სახალხო კონტროლი-საშაურმე „ტარანტინო" -ინდური სამზარეულო „ბაითს" ვ...<br>20 июл. 2021 г. | 13:38 (36,2 %) | 3 335 |
| 8 | სახალხო კონტროლი - რიკოთი 05.10.2020<br>6 окт. 2020 г. | 14:21 (36,8 %) | 3 187 |

ქვეყანაში არსებული ეპიდემიულოგიური ვითარების გათვალისწინებით 2021 წლის  მესამე კვარტალში ახალი ამბების სამსახურმა (თანამშრომელთა ნაწილი პერიოდულად ინფიცირდებოდა ან იმყოფებოდა იზოლაციაში), შეზღუდული რესურსით იმუშავა.

წამყვანების, რეპორტიორების, ოპერატორებისა და ტექნიკური პროდიუსერების ჯგუფებს უწევდათ ერთმანეთის ჩანაცვლება. პანდემიის ფონზე, აჭარის მაუწყებელი აშუქებს თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანიას. პარალელურად ინტენსიურ რეჟიმში შუქდებოდა მიმდინარე პროცესები. სატელევიზიო ეთერით უწყვეტ რეჟიმში გადაიცემოდა დედაქალაქის მთავარ მოედანზე სხვადასხვა დროს გამართული მედიის წარმომადგენლების და ოპოზიციური პარტიების აქციები. წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას მაუწყებლის ეთერი დაეთმო ყველა კანდიდატს. ახალი ამბების სამსახურმა თავის გადაცემებში მაქსიმალურად უზრუნველყო კვალიფიციური და არაკვალიფიციური კანდიდატებისთვის თანაბარი საეთერო დროის დათმობა. ,,თავისუფალი სივრცე“ დაეთმო აჭარის მუნიციპალიტეტების კვალიფიციური პარტიების მერობის კანდიდატებს თანაბარი დროით, ,,არჩევნები 2021“ -ის ფორმატით რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის, ყველა პარტიის მაჟორიტარს საშუალება მიეცა საკუთარი ხედვები გაეცნო მაყურებლისთვის, საინფორმაციო გამოშვებების ე.წ. პრაიმ ტაიმში ყველა მუნიციპალიტეტში წარდგენილ მერობის კანდიდატზე მომზადდა რეპორტაჟი, სადაც თითოეულს საშუალება მიეცა ამომრჩევლისთვის გაეცნო საკუთარი პროგრამა. ყველა პარტიას, რომელსაც საინფორმაციო გამოშვების დროს ჰქონდა მერობის კანდიდატებისა და პარტიული სიის წარდგენა საშუალება მიეცა (თანაბარი დროით) პრეზენტაცია ჩვენი პირდაპირი ეთერის საშუალებით გაემართა. აღსანიშნავია კომუნიკაციების კომისიის წინასწარი მონიტორინგის შედეგები, სადაც აღნიშნულია,რომ წინასაარჩევნო პერიოდს სტანდარტების დაცვით, ობიექტურად და ბალანსის დაცვით აშუქებდა. მონიტორინგში აღნიშნულია, რომ მეტწილად ეთერიდან ისმოდა ცენტრალური ხელისუფლების კრიტიკა, საეთერო დროის ნაწილი ეთმობოდა ადგილობრივი მთავრობის მიერ გაწეულ სამუშაოებს. ოპოზიციური პარტიების გაშუქებისას დაცული იყო ბალანსი. ტელევიზიის პარალელურად რადიოს ახალი ამბების სამსახური მუშაობდა საარჩევნო რეჟიმში, სადაც ასევე პარტიებს ეთმობოდა თანაბარი საეთერო დრო. წლის ამ პერიოდშიც, გრძელდებოდა თანამშრომლობა ამერიკის ხმასთან ასევე მასალების გაცვლა საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე ცენტრალურ არხთან. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში პანდემიის და წინასაარჩევნო დატვირთული რეჟიმის გათვალისწინებით თბილისის ბიუროსა და ცენტრალურ ოფისში ხელშეკრულებით გამოსაცდელი ვადით მივიღეთ ორი რეპორტიორი. გამოწვევა : ტექნიკური გადაიარაღება ისევ მთავარი გამოწვევაა, როგორც ცენტრალურ ოფისში ისე ბიუროებში. დისციპლინასთან არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, დოკუმენტურად აღწერილია პროდიუსერების მიერ განმარტებით ბარათებში.

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის 2021 წლის მესამე კვარტალის აქტივობების ანგარიში.**

- ✓ 15 ივლისს გამოცხადდა კონკურსი აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ მომზადებულ სატელევიზიო გადაცემის შესყიდვაზე - 12(თორმეტი) გადაცემა. გამარჯვებული კომპანიაა შპს „ემ ეს გრუპი“, მიმდინარეობს გადაცემების მიღება-ჩაბარება და ეთერში ჩაშვება;

- ✓ 23 ივლისს გამოცხადდა კონკურსი საბავშვო გადაცემების (10 გად.) და საბავშვო თემატიკის სატელევიზიო პროგრამათაშორისის (20 არტი) შესყიდვაზე. გამარჯვებული კომპანიაა შპს „მართე ქართული“. დასრულდა გადაცემების მიღება-ჩაბარება და განთავსებულია ბადეში;

- ✓ 27 ივლისს გამოცხადდა კონკურსი ქართული მხატვრული ფილმების (42 ფილმი) საჯარო ლიცენზიის შესყიდვაზე. გამარჯკვებული კომპანიაა შპს „ენ რეკორდსი“. პროდუქცია მიღებულია, განთავსებულია ბადეში;
- ✓ ახალი სეზონისთვის საეთერო ბადის მომზადება-დამუშავება;
- ✓ ორგანიზაცია NOOSFERA FOUNDATION-თან მემორანდუმის დადება, CineDOC-Tbilisi საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის 14 (თოთხმეტი) ფილმის ჩვენებაზე, მიმდინარეობს საეთეროდ განთავსება;
- ✓ საავტორო გადაცემების და მექანიკური პროდუქციის ანონსირება;
- ✓ ყოველკვირეული პროგრამის შემუშავება და სხვადასხვა ვებ პლატფორმაზე მიწოდება, მაგთისატისთვის პროგრამის დამუშავება-მიწოდება;

  **ბრენდირებული ნივთების შეძენა:**

  1. საარჩევნო გადაცემის სტუდიისთვის ბანერი-კონსტრუქცია და სტიკერები სტუდიის ტრიბუნებისთვის;
  2. წამყვანების კლიპ-ბორდები;
  3. აბრა-სტიკერები მანიშნებლებისთვის ;
  4. სტიკერი-არაკალი კედლისთვის ;
  5. ბრენდირებული ჭიქები;
  6. ბრენდირებული მუყაოს ჩანთები;
  7. ბრენდირებული ტილოს ჩანთები ;
  8. ბრენდირებული ქოლგები ;
- ✓ ორგანიზაციებიდან სოციალური რეკლამის მიღება-განთავსება; ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, რგოლის დამზადება-განთავსება;
- ✓ 9 (ცხრა) კომპანიის კომერციული მომსახურება, შემოსული თანხა შეადგენს 31805 ლარს;

**მესამე კვარტალში ბადეში შევიდა შემდეგი ცვლილები:**

- ○ წინასაარჩევნო პოლიტიკური თოქ-შოუს „არჩევნები 2021“ დამატება ბადეში;
- ○ გადაცემების: „აღმოაჩინე აჭარა“, „ქუჩის მუსიკოსები“, „ქვიშის დრო“ და პროგრამათაშორისის „პატარა ბილიკები“ ბადეში განთავსება;
- ○ ფეხბურთის პირდაპირი ტრანსლაციები - ევროპის კონფერენც ლიგა და ეროვნული ლიგა;

○ CineDOC-Tbilisi საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის ფილმების ჩვენება, სულ 14 ფილმი.(იხილეთ **დანართი N2).**

<u>რადიო-შედეგები და საჭიროებები;</u>

**2021 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:**

- ✓ ყოველდღიურად მიმდინარეობდა ყოველკვირეული მუსიკალური პლეილისტის გენერაცია - განახლება;
- ✓ გარეწარმოების წესით მომზადდა ორი გადაცემა - ჩემი ალტერნატივა ( ქართული ალტერნატიული ესტრადის შესახებ ) და ბათუმური ისტორიები ( ბათუმის ურბანული ლეგენდები, ცნობილი პიროვნებების ისტორიები და საარქივო მასალები);
- ✓ ახალი სეზონის დაწყებამდე საეთერო ბადეში განმეორებით ჩაეშვა გასული სეზონის შემეცნებით გასართობი გადაცემები ( ჩემი ალტერნატივა და სინემა);
- ✓ მიმდინარეობს რადიოს ფონდში არსებული ხალხური თვითშემოქმედი კოლექტივების მიერ შესრულებული სიმღერების დამუშავება, გაშიფვრა, კატალოგიზირების სამუშაო. პარტნიორებთან ერთად დამუშავებულია პირველ ეტაპზე 249 სიმღერა;
- ✓ შესრულდა ახალი სეზონისთვის გადაცემების მოსამზადებელი სამუშაოები;
- ✓ პერიოდულად მიმდინარეობდა რადიოს საეთერო სტუდიებში წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა;
- ✓ სისტემატიურად იჩენს თავს რადიოს გადამცემ ანძებთან და რადიოს სიგნალთან დაკავშირებული პრობლემები.
- ✓ დღემდე პრობლემად რჩება ადამიანური რესურსის ნაკლებობა. რის გამოც ვერ ხერხდება რადიოს რიგი მიმართულებების სათანადოდ წარმოჩენა. საკადრო სიმცირეს განიცდის როგორც შემოქმედებითი ჯგუფი, ასევე ანალიტიკურიც.

**მიმდინარე პროგრამულ ბადეში განთავსებული გადაცემების ჩამონათვალი იხილეთ დანართი N3 სახით .**

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურში 2021 წლის მესამე კვარტალში განხორციელდა აქტივობები. შემოქმედებითმა ჯგუფებმა გადაცემები აწარმოეს** საყოველთაო პანდემიის პირობებში. განხორციელდა მივლინებები, გადაცემებისთვის მასალის მოპოვების მიზნით ქვეყნის მასშტაბით და საზღვარგარეთ (აზერბაიჯანის რესპუბლიკა - გადაცემა „ვემსახურები საქართველოს“) ასევე იყო აგვისტოს თვეში სატელევიზიო არდადეგები რაც შემოქმედებითმა ჯგუფებმა გამოიყენა გადაცემების გადასახალისებლად, მომდევნო სატელევიზიო სეზონისათვის. მომზადდა და განთავსდა საეთერო ბადეში დოკუმენტური ფილმები და ტელესპექტაკლები. შემოქმედებითი მიმართულებით დაემატა რამოდენიმე ახალი გადაცემა გარე წარმოების ხაზით. საბავშვო მიმართულებით 2 (ორი) ახალი პროექტი ჩაეშვა ეთერში „პატარა ბილიკები“ და „ქვიშის დრო“, ტურიზმის მიმართულებით 1 (ერთი) ახალი პროექტი „აღმოაჩინე აჭარა“ და შიდა წარმოებით გაკეთდა ერთობლივი მუსიკალური პროექტი პირველ არხთან ერთად „ქუჩის მუსიკოსების ფესტივალი“, იგეგმება კიდევ რამოდენიმე პროექტის

განხორციელება ახალ წლამდე, ახალგაზრდული და გასართობი თემატიკის მიმართულებით. ასევე მუშაობა მიმდინარეობს ახალი წლის გადაცემასთან დაკავშირებით.

**მონიტორინგის ანგარიშები**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თვითრეგულირების ფარგლებში მაუწყებელში საჩივარი არ შემოსულა.

**იურიდიული მხარდაჭერა**

2021 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

**შიდა დოკუმენტი** - 2353 (ორიათას სამასორმოცდაცამეტი);

**გარედან შემოსული** - 418 (ოთხასთვრამეტი);

**კანცელარიიდან გაიგზავნა** -291 (ორასოთხმოცდათერთმეტი) წერილი.

**მაუწყებელში შეიქმნა და რეგისტრაციაში გატარდა:**

**პირადი შემადგენლობის შესახებ (03-01)** – 14(თოთხმეტი) ბრძანება ;

**ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03)** - 14 (თოთხმეტი) ბრძანება;

**ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09)** – 115(ასთხუთმეტი) ბრძანება;

**რეგისტრაციაში გატარდა** - 488 ( ოთხასოთმოცდარვა) მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი;

**საფოსტო გზავნილი** -33 (ოცდაცამეტი).

1. **წინასაარჩევნო პერიოდი**

მაუწყებელმა წინასაარჩევნო პერიოდში კანონით დადგენილი წესით ეთერში განათავსა პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო რეკლამები - აღნიშნულთან დაკავშირებით არ ყოფილა წარდგენილი საჩივარი მპგს მიერ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ასევე არ დაწყებულა ადმინისტრაციული წარმოება აღნიშნული კუთხით. მაუწყებელმა შესრულა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისიწნებული ვალდებულება და ეთერში განათავსა წინასაარჩევნო დებატები.

## 2. სასამართლო დავები:

**ა)** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის (26/08/2021) საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 02 სექტემბრის დადგენილებით მაუწყებელი ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო და დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით - საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება კანონით დადგენილი სავალდებულოდ მისათითებელი ინფორმაციის გარეშე (2021 წლის 23 აგვისტოს „ახალ ამბებში"), დადგენილება გასაჩივრდა. სააპელაციო სასამართლოში ჩანიშნულია საქმის განხილვა 2021 წლის 08 ოქტომბერს ზეპირი მოსმენის გარეშე.

**ბ)** 2021 წლის 29 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა სხდომა მაუწყებლის ყოფილი დირექტორის, ნათია კაპანაძის სარჩელიის განხილვისთვის. სასამართლომ მოპასუხე მხარეს - მაუწყებელს დაავალა მტკიცებულების სახით იმ ხელშეკრულებების წარდგენა რომლებიც ამტკიცებს შეუსაბამო და არათანაბარი ხელფასების არსებობას (იმპიჩმენტის ერთ-ერთისაფუძველი). საქმე განხილვის პროცესშია.

**გ)** მოვალე სს „საზღვაო ჰოსპიტალმა" შეასრულა მაუწყებლის წინაშე არსებული ვალდებულება, შესაბამისად მაუწყებელმა გამოიხმო სარჩელი.

**დ)** თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ივლისის #3ბ/2506-19 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას დაეკისრა 250 ლარის (გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება) გადახდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" სასარგებლოდ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 25 მარტის #ბს-1168(კ-20) საქმეზე მიღებული განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიამ გადაიხადა დაკისრებული თანხა.

**ე)** უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 20 სექტემბრის ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის განჩინებით დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაშია მიღებული მ.მ.-ს საჩივარი (დავის საგანი: მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა)

## 3. იჯარები

ა) 2021 წლის 10 სექტემბერს სს „სილქნეტთან" გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება 2(ორი) წლის ვადით შემდეგ ქონებაზე: ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ დაგვაში მდებარე გადამცემ სადგურზე (ანძაზე) 2 გრძივი მეტრი და მის მიმდებარედ 10 (ათი) კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვთი (საკადასტრო კოდი 20.45.01.038). იმავე ქონებაზე აუქციონი ჩაიშალა 2021 წლის 16 აგვისტოს.

**ბ)** მაუწყებლის მიერ 2021 წლის 22 ივლისს გამოცხადებული აუქციონი ქონებაზე - ქ. ბათუმში, სულხან-საბა ორბელიანი ქ. #17-ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილს - 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთს 7(შვიდი) წლის ვადით იჯარით გასაცემად ავტოსამრეცხაოს მოწყობის მიზნით - შეწყდა იმ საფუძვლით, რომ მაუწყებელს მომართა დაინტერესებულმა პირმა ქ. ბათუმში, სულხან-საბა ორბელიანი ქ. #17-ში მდებარე უძრავი ქონების უდიდესი ნაწილის იჯარით გაცემის მიზნით. ეს უკანასკნელი საკითხი პროცესშია - გაფორმებულია ხელშეკრულება აუდიტორულ კომპანიასთაინ საიჯარო ქონების შეფასების მიზნით.

## 4. ხელშეკრულებები

**ა)** გაფორმდა 7(შვიდი) ხელშეკრულება სარეკლამო კონტენტის შესახებ;
**ბ)**გაფორმდა 4(ოთხი) ხელშეკრულება (კონკურსის საფუძველზე) საჯარო გადაცემის ლიცენზიის: ქართული ფილმების ლიცენზია - შპს „ენ რეკორდსი" ანიმაციური სერიალი - შპს „ქართული გახმოვანება" ანიმაციური სერიალი - შპს „კაუკასუს ნეთვორქ გრუპ" , დოკუმენტური ფილმები - შპს „ენ რეკორდსი" ;
**გ)** გაფორმდა 5(ხუთი) ხელშეკრულება პროდუქტის შესაქმენლად საჭირო მომსახურების შესყიდვის მიზნით დ)დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან (კონკურსის საფუძველზე) პროგრამების შესყიდვის მიზნით გაფორმდა 5(ხუთი) ხელშეკრულება - 2(ორი) ხელშეკრულება რადიო გადაცემების შესასყიდად, 3(სამი) ხელშეკრულება სატელევიზიო კონტენტის შესასყიდად.

## 5. გამოთხოვილი ინფორმციები

**ა)** 2021 წლის 26 აგვისტოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა წარმოადგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2021 წლის 24 აგვისტოს გაცემული N1930 განჩინება, ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ ნებართვის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განჩინების თაობაზე გაიცა ინფორმაცია - ახალი ამბების სამსხურის მიერ მომზადებული ვიდეომასალა.
**ბ)** 2021 წლის 20 აგვისტოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნებისა და ხელშეწყობის შესახებ - მაუწყებლიდან გამოთხოვნილი იქნა საჯარო ინფორმაცია 2018-2021 წლებში გენდერული სტატისტიკის შესახებ, რომელიც მაუწყებლის მიერ მიწოდებულია.

## 6. მაუწყებლის დებულებები:

**ა)** მაუწყებლის დირექტორის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანებით დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელვიზია და რადიოს" პერსონალურ მონაცემებთა დამუშავების პოლიტიკის დოკუმენტი

**ბ)** მაუწყებლის დირექტორის 2021 წლის 03 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცდა ახალი „შრომის შინაგანაწესი", ასევე დამტკიცდა „დისციპლინური წარმოების წესი.

**გ)** მაუწყებლის დირექტორის 2021 წლის 19 ივლისის ბრძანებით დამტკიცდა „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს მიერ პროგრამის, პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის დებულების" მიზნებისათვის ხარჯთაღრიცხვის ფორმა

**დ)**მაუწყებლის დირექტორის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანებით დამტკიცდა „სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" მიერ დოკუმენტური ფილმების წარმოების დაფინანსების კონკურსის ჩატარების დებულება

**ე)** მაუწყებლის დირექტორის 2021 ლის 08 სექტემბრის ბრძანებით შეიქმნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" მუდმივმოქმედი დისციპლინური კომისია.

7. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

**ა)** ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის #16/18-ში 2021 წლის თებერვალში გადმოცემული უძრავ ქონებაში, ძველი მოსარგებლი სახელშე რეგისტრირებული ელ.ენერგიის მომხმარებელი გადაფორმდა მაუწყებლის სახელზე.

**ბ)** მაუწყებელმა შეისყიდა სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს" მომსახურება.

**გ)** არჩევნებთან დაკავშირებით გაზრდილი კომუნიკაციის გამო გაიზარდა სატელეფონო ლიმიტები ახალი ამბებისა და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურისთვის.

**დ)** გამოიცა 8 ბრძანება ვიდეო/აუდიო რგოლებისათვის სოციალური რეკლამის სტატუსის მინიჭების თაობაზე, გამოიცა 1 (ერთი) ბრძანება მაუწყებლის კომერციულ ანგარიშზე თანხის გადატანის თაობაზე.

ე) თურქეთის ტელევიზიასთან გაფორმდა შეთანხმება საფეხბურთო მატჩების ჩვენების უფლების გაცვლის თაობაზე.

